**ადრესატი:**

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**02-37240586**
თარიღი: **27/02/2024**

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის - ბექა თოიძის

## 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2023 წლის 01 იანვრიდან - 2024 წლის 01 იანვრამდე.

საანგარიშო პერიოდში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებდა 23 საკითხის შესწავლას, განხილვას, მიმოხილვასა და შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადებას. ფაქტობრივად ჩატარდა 18 სხდომა. კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 78 საკითხი, სხვადასხვა პროექტებზე მომზადდა 34 დასკვნა. ამასთან დასკვნები მომზადდა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ შესწავლას, განხილვას, სხვადასხვა დონის წინადადებების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების მიღებას ძირითადად დაექვემდებარა:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ჩათვლით (18 პროექტი).
- ბინათმშენებლობის ფარგლებში მრავალბინიანი სახლების ფასადების კეთილმოწყობა (პროექტი).
- საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება (სკვერები, პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, 4 პროექტი)
- სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (4 პროექტი).
- წყალმომარაგებისა და წყალარინების მოწესრიგება და რეაბილიტაცია (6 პროექტი).
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების და ნარჩენების მართვის გაუმჯობესება (1 პროექტი).
- საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (4 პროექტი)
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირება (1 პროექტი).
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდება (4 პროექტი).
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (1 პროექტი)
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტირება და ექსპერტიზა. (1 პროექტი).

კომისიის საქმიანობის ზემოთ აღნიშნული მიმართულებების მიხედვით შესწავლილ იქნა 37 საკითხი (პროექტი), რომელთა განხორციელებაზე კომისიას პერიოდული და მუდმივი მონიტორინგი ქონდა დაწესებული.

კომისიამ ჩემი აქტიური ჩართულობით კომისიის ფორმატში შეისწავლა,

განიხილა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტაციებსა და პროექტებზე, როგორებიცაა:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრტულების ანგარიში;
- ქალაქის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მდგომარეობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მართვის გაუმჯობესება;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების შედეგები 2022 წლის შედეგებიდან გამომდინარე;
- 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტლური ანგარიშები და წლიური ანგარიში.

საანგარიშო წლის განმავლობაში, კომისიას შესწავლა-განხილვის მიზნით დაეწერა ცალკეულ მოქალაქეთა 18 და 2 კოლექტიური განცხადება. აღნიშნული რაოდენობის განცხადებებში დაფიქსირებული პრობლემების უმეტესი ნაწილი გადაწყვეტილია, გადაწყვეტილების პროცესშია 5 საკითხი, ჯერჯერობით რეაგირების გარეშე დარჩენილია 2 საკითხი.

მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის პროგრამულ ბიუჯეტში გათვალისწინებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელიც განხორციელდა საანგარიშო 2023 წელს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა და დღესაც გრძელდება ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები. ესენია: გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია. წყალმომარაგების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია. საზოგადოებრივი, სპორტული, საგანმანთლებლო და გასართობი სივრცეების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული პროექტების ფაქტობრივ ღირებულებაში, უშუალოდ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად დახარჯულია 10 000 000 ლარზე მეტი. რაც საკრებულოსა და მერიის საკმაოდ კარგად კოორდინირებულ საქმიანობაზე მიუთითებს.

ზემოთ აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად მიღწეული ეფექტი მნიშვნელოვანია, როგორც შესრულებული სამუშაოების რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით. სახეზეა მოქმედი ხელისუფლების სერიოზული ძალისხმევა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მასშტაბების ზრდის ტენდენციების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კოლეგებო! კომისიის საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი მერიის მიერ განხორციელებულ პროექტებზე სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებაა. ვინაიდან, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარება ხდება შესაბამისი საექსპერტო სამსახურების დასკვნების საფუძველზე, კომისია ძირითადად სწორედ აღნიშნულ დასკვნებს ეყრდნობა საბოლოო შეფასების მიღების პროცესში. თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია ხშირად იყენებს პროექტების განხორციელების ადგილების ვიზუალური დათვალიერების მეთოდებსაც. რაც პროექტის საბოლოო შედეგების შეფასების კარგი და ეფექტური საშუალებაა.

კომისიის საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფაქტობრივად განხორციელებული პროექტების ნუსხის დაფიქსირება რაოდენობრივ მაჩვენებელში, არამედ აუცილებელია მათი განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგების ეფექტურობის პირდაპირი თუ ირიბი მაჩვენებლების სისტემური ანალიზი. კომისია მუდმივად ცდილობს გამოავლინოს ინფრასტრუქტურული პროექტების

განხორციელების შედეგად ფაქტობრივად დამდგარი ის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები, რომლებიც მათ განხორციელებას მოჰყვა. ესენია:

- მოსახლეობის, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაზოგვა.
- მოსახლეობის სამუშაო დროის გახანგრძლივება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დამაზიანებელი ეკოლოგიური პროექტების აღმოფხვრა-ლოკალიზება.
- მოსახლეობის სოციალური პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ა. შ.

კომისიამ ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია პროგრამულ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისას შუალედური და საბოლოო შედეგების მათი შეფასების ინდიკატორების სრულყოფილად ასახვის მიზნით.

ყოველდღიური კომუნიკაცია მაქვს მერიის სტრუქტურებში შემავალ ორგანიზაციებთან და შესაბამის სამსახურებთან. გასულ საანგარიშო წელს არაერთი სამუშაო შეხვედრა გავმართე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნით მოქალაქეებთან და მოქალაქეთა ჯგუფებთან.

მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე 6-ჯერ ვმონაწილეობდი სხვადასხვა ფორმატის ტრენინგ-სემინარებში. ამ უკანასკნელში მონაწილეობა მიიღო კომისიის 9 წევრმა.

საანგარიშო პერიოდში კვორუმის არ არსებობის გამო არც ერთხელ არ ჩაშლილა კომისიის სხდომა. კომისიის სხდომები ძირითადად იმართებოდა კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირი იყო რიგგარეშე სხდომების მოწვევის ფაქტები.

პატივცემულო კოლეგებო! კომისიის თავმჯდომარის სრულფასოვანი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია კომისიის ყველა წევრის ეფექტური საქმიანობა, და ეს ასეც იყო. მადლობა კომისიის ყველა წევრს. მთლიანად კომისიის ყველა წევრის, მათ შორის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა კარგად იყო კოორდინირებული მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან მიმართებით. ადეკვატური იყო მათი დამოკიდებულებაც კომისიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მადლობა მერს და მის გუნდს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელების საქმეში ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე